# ხაშურის მოამბე

№29 (160) 23 ივლისი, ორშაბათი, 2018 წელი

## ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სესია

17 ივლისს, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, ჩატარდა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა. საკრებულოს წევრებმა კენჭი უყარეს და მხარი დაუჭირეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებულ ორ საკითხს:

1. „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №48 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

2. „2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ცალკეული ასიგნებების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის, 2 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

ზემოაღნიშნულ დადგენილებაში და განკარგულებაში ცვლილებების მიზეზი გახდა საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11 ივლისის №1397 განკარგულება, რომლის ძალითაც ცვლილება მოხდა „საქართველოს რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის თანხის განაყოფილების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის №136 განკარგულებაში. ამ ცვლილებით, ხაშურის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 47 500 ლარი დაბა სურამში, 26 მაისის ქუჩის მონაკვეთზე(ერთ-ერთ ჩიხზე) ბეტონის საფარის და სანიაღვრე არხის მოწყობისთვის.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სესია გაიმართა აგვისტოს დასაწყისში.

- ინფრასტრუქტურა -

## ქვიშხეთს და ზემო ოსიაურს რეაბილიტირებული გზები ექნება

დაბა ქვიშხეთში, გზის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, სხვადასხვა სამუშაოებთან ერთად, საგზაო მონიშვნების დახაზვაც მიმდინარეობს.

მოწყობილია 2 200 გრძივი მეტრი გზა და მიმდებარე ჩიხებში- 282 გრძივი მეტრი გზის მონაკვეთები. აღნიშნული გზით ქვიშხეთის ადმინისტრაციული ერთეულის და მასში შემავალი სოფლების: ბეღლეთის, ბულბულისციხეს და მონასტრის 3000 -მდე ადგილობრივი მაცხოვრებელი და სტუმარი ისარგებლებს. მოეწყო სანიაღვრე არხები, ტროტუარები, პროექტი თანადაფინანსების ფარგლებში ხორციელდება და 955 925 ლარს ითვლის.

აქტიურად მიმდინარეობს ზემო ოსიაურში გზის მოწყობის სამუშაოებიც.

აღნიშნული გზით სოფლების: სატივეს, ახალსოფლის, გომის, ხიდისყურის, ზემო ოსიაურის და ქვემო ოსიაურის 4000-ზე მეტი მოსახლე ისარგებლებს.

პროექტით 3კმ-დე გზის მონაკვეთის მოწყობაა გათვალისწინებული. პროექტის მთლიანი თანხა 913 449 ლარს ითვლის. გათვალისწინებულია სანიაღვრე არხების მოწყობა.

მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტში მიმდინარე სამუშაოებს მუდმივად აკონტროლებენ მერიის ზედამხედველობის და ინფრასტრუქტურის სამსახურები, რათა დაცული იყოს ის სტანდარტები და ნორმები, რაც პროექტითაა გათვალისწინებული.

## სურამში, ლესია უკრაინკას და წმინდა მარიამის ქუჩების რეაბილიტაცია დაიწყო

ხაშურის მუნიციპალიტეტში ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება დაიწყო. დაბა სურამში, წმინდა მარიამის ქუჩის და ლესია უკრაინკას ქუჩების რეაბილიტაციის სამუშაოები თანადაფინანსებით ხორციელდება.

წმინდა მარიამის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები, ჯამში ,212 875 ლარს ითვლის და 670 გრძივი მეტრი გზის მოწყობას ითვალისწინებს, ხოლო ლესია უკრაინკას ქუჩის მოასფალტება 282 145 ლარს ითვლის და 830 გრძივი მეტრი გზის მოწყობას ითვალისწინებს. ამ ეტაპზე დამთავრებულია ქუჩების მოხრეშვა და მიმდინარეობს მოსწორებითი სამუშაოები, რის შემდეგაც დაიწყება ასფალტის დაგება.

ორივე ქუჩის პროექტი საბოლოო სახეს სექტემბრის დასასრულს მიიღებს, რაც მკვეთრად გააუმჯობესებს ადგილობრივი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობებს.

პროქტის ფარგლებში, მოეწყობა სანიაღვრე არხებიც.

ინფრასტრუქტურული სამუშაოები, მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით, აქტიურად გაგრძელდება და მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი გადაწყდება.

# ა(ა)იპ "ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების " 2018 წლის ექვსი თვის მუშაობის ანგარიში

საბიბლიოთეკო გაერთიანებაში შედის 5 ბიბლიოთეკა - ხაშურის მთავარი, ხაშურის საბავშვო, სურამის, სოფელ ხცისის და სოფელ ცხრამუხის ბიბლიოთეკები. ბიბლიოთეკებში მოქმედებს ამერიკის კუთხე, ლიტვის ცენტრი, მკითხველთა კლუბი, ქალთა კლუბი, კომპიუტერის და ინგლისური ენის შემსწავლელი წრე, კლუბი „ვაკეთოთ ერთად“, ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი, კულინარიის კლუბი, მშობელთა კლუბი - „ეფექტური მშობლობა“, საბავშვო ბიბლიოთეკასთან არსებული მუსიკალურ - თეატრალური სტუდია.

ბიბლიოთეკის პარტნიორები არიან : ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია, აშშ -ს საელჩო საქართველოში, ლიტვის საელჩო საქართველოში, გამომცემლობა „წიგნიერი“, “პალიტრა - L”, “არტანუჯი“ .

საბიბლიოთეკო გაერთიანების რესურსია - 95 000 ეგზემპლიარი წიგნი; პერიოდიკა (ჟურნალ-გაზეთები) უცხოენოვანი ლიტერატურა (რუსული, ინგლისური, ფრანგული, გერმანული) უახლესი მასალები ნატოს ალიანსის შესახებ; ასევე - ინტერნეტში ჩართული 33 პერსონალური კომპიუტერი ; 4 - ლეპტოპი ; 10 პრინტერი - (1 ფერადი პრინტერი); 3D პრინტერი - 1 , ქინდლი -4 ; ფოტოაპარატი -3 ; აიპადი - 4; პროექტორი - 3 (ეკრანით), თამაშის კონსოლი (XBOX); აუდიო წიგნები და ოპტიკური დისკის წამკითხველი (DVD); უსადენო ინტერნეტი (Wi-Fi) ელექტრონული და ბეჭდური კატალოგი; საინჟინრო-სამეცნიერო და ნანოტექნოლოგიური სათამაშოები.

მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით გაიხსნა სოფელ ცხრამუხის ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი შენობით, ავეჯით, წიგნადი ფონდით, ინტერნეტით და Wi- Fi. რაც ძალიან სასიხარულო სიახლეა მუნიციპალიტეტში.

წარმოგიდგენთ ექვსი თვის ანგარიშს, რა ღონისძიებები ჩატარდა ბიბლიოთეკებში:

18 იანვარი - ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში, შემოქმედებითი განვითარების ცენტრის თანამონაწილეობით, ჩატარდა ღონისძიება „რელიგია და ტრადიციები საქართველოში“

31 იანვარი - ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის საკითხველო დარბაზში ჩატარდა წიგნის მოყვარულთა კლუბის პირველი შეხვედრა, რომლის წევრებიც არიან სხვადასხვა საჯარო სკოლების მე-8, მე-9, მე-10 და მე-11 კლასების მოსწავლეები. კლუბის ხელმძღვანელი ხათუნა ჩიტაძე.

1 თებერვალი - წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე!

ამ დღესთან დაკავშირებით, შოთა რუსთაველის სახელობის ხაშურის მე-9 საჯარო სკოლის მოსწავლეები ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში შეიკრიბნენ და წაიკითხეს ლექსები საყვარელი პოეტების შემოქმედებიდან.

8 თებერვალი - დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში, ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების თანამშრომელმა, ისტორიკოსმა, ქალბატონმა მზია ლობჟანიძემ წაიკითხა ლექცია: „აღმაშენებელი - დიდი რეფორმატორი“.

9 თებერვალი - ხაშურის მუნიციპალიტეტის მთავარ ბიბლიოთეკაში გაიმართა შეხვედრა ჩვენი მუნიციპალიტეტის შემოქმედ ადამიანებთან: მზეგული ტყეშელაშვილთან, შოთა დარბუაშვილთან და ლეილა ჯახველაძესთან.

შეხვედრას ესწრებოდნენ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის წევრები: გულნაზი ხარაიშვილი, ირინოლა ორბელიანი, იზა ჭიკაიძე, მანანა თარაშვილი, გერონტი მესხი, ჯგუფი “ზღვარის” წევრები სერგი ლომაძე, კახა ბაციკაძე და დაინტერესებული პირები.

15 თებერვალი - ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკამ ისტორიკოსს, ჟურნალისტს, პოლიტოლოგს, საქართველოს ცურვის ეროვნულ სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტს ბატონ ჰენრი კუპრაშვილს უმასპინძლა.

ბატონმა ჰენრიმ ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკას საკუთარი ბიბლიოთეკიდან 1700 წიგნი გადასცა.

შეხვედრას ესწრებოდნენ ქართველი მწერალი და ნოველისტი, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, ჟურნალისტთა კავშირის,საქართველოს მეხუთე მოწვევის პარლამენტის წევრი, ბატონი რევაზ მიშველაძე, დაინტერესებული პირები და სხვადასხვა საჯარო სკოლების მოსწავლეები.

15 თებერვალი - ბიბლიოთეკაში ჩატარდა კლუბის „საუბრები ბიბლიოთეკაში“ მეორე შეხვედრა.

კლუბის წევრებმა განიხილეს ავსტრიელი მწერლის შტეფან ცვაიგის - „მოუთმენლობა გულისა“.

16 თებერვალი - ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში ჩატარდა კლუბის „მაძიებლების“ მორიგი შეხვედრა. შეხვედრაზე კლუბის ხელმძღვანელმა და წევრებმა წარადგინეს პრეზენტაციები თემაზე: „ხელოვნებაში ასახული მომავალი“.

პრეზენტაციები განიხილეს ლიტერატურის, მხატვრობის და ანიმაციის ჟანრებზე:

27 თებერვალი - ხაშურის მუნიციპალიტეტის მთავარ ბიბლიოთეკაში ჩატარდა ეკა ბაქრაძის პოეზიის საღამო - „ჩემი დაბადების დღე“.

7 მარტი - საბავშვო ბიბლიოთეკაში მოეწყო პატარა, ნიჭიერი შემოქმედის ნუცა ჩიტაძის ნახატების გამოფენა. განსხვავებული ხედვითა და თანამედროვე ტექნიკით შესრულებულმა ნამუშევრებმა დამსწრე საზოგადოებაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

20 მარტი - მთავარი ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში, ექიმმა ნინო მესხიძემ წაიკითხა ლექცია თემაზე:„ქალთა ფიზიკური ჯანმრთელობა“.

21 მარტი - დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ბიბლიოთეკის უცხოენოვანი განყოფილების სპეციალისტმა მავრა გელაშვილმა, ჩაატარა პრეზენტაცია თემაზე:„21 მარტი - დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე“.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი, ბატონი ნოდარ ივანიშვილი, არასამთავრობო ორგანიზაცია „მომავლის სახლის“ წარმომადგენლები და დაინტერესებული პირები.

2018 წლის დაუნის სინდრომის მსოფლიო დღის სლოგანია -„რას ვმატებ საზოგადოებას“.

21 მარტი - მთავარ ბიბლიოთეკაში, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის გენდერული თანასწორობის საკითხებზე, პასუხისმგებელმა პირმა, ნინო სუხიაშვილმა, გენდერული თანასწორობის ადგილობრივ და საერთაშორისო მექანიზმებზე, CEDAW კონვენციის,ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონების თაობაზე ისაუბრა.

22 მარტი - ბიბლიოთეკის მთავარ დარბაზში, სოციალური მომსახურების სააგენტოს ხაშურის რაიონული განყოფილების სოციალურმა მუშაკმა ნანა გელაშვილმა, ისაუბრა თემაზე:„ქალთა სოციალური სიჯანსაღე“.

28 მარტი ხაშურის მუნიციპალიტეტის მთავარი ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის,საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადების დღესთან დაკავშირებით, მოეწყო ლიტერატურის გამოფენა.

ქალბატონმა მაყვალა ხაჩიძემ ისაუბრა ზვიად გამსახურდიაზე, როგორც ეროვნული მოძრაობის გმირზე და დამსწრე საზოგადოებას გააცნო საკუთარი ჩანაწერები.

29 მარტი - ხაშურის მუნიციპალიტეტის მთავარი ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში, ჩატარდა ღონისძიება სახელწოდებით: „ქალი ყოველი არსის გვირგვინია“.

კლუბი „ მაძიებლების“ წევრებმა წარადგინეს პრეზენტაციები სხვადასხვა თემაზე. კლუბის ხელმძღვანელი მავრა გელაშვილი.

12 აპრილი - ცხრამუხის ადმინისტრაციულ ერთეულში თანამედროვე სტანდარტების მქონე ბიბლიოთეკა გაიხსნა.

13 აპრილი - დედაენის დღესთან დაკავშირებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის მთავარი ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში, ჩატარდა ლიტერატურული კომპოზიცია „საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ, ხმათა ხავერდების და ღმერთების ენავ!“ და ასევე მოწყო ლიტერეტურის გამოფენა.

ღონისძიებაში მანაწილეობდნენ ხაშურის მე-6 საჯარო სკოლის 5 მოსწავლე - ნინი შუბითიძე, მარიამ კვინიკაძე, ნათია მეგრელიშვილი, მარიამ კანთელაშვილი, ანა ტაბატაძე , რომლებმაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პირველი ადგილი აიღეს ესსეების კონკურსში “არა- ბარბარიზმებს”.

13 აპრილი - ხაშურის მუნიციპალიტეტის მთავარმა ბიბლიოთეკამ პროექტის “ცოცხალი წიგნები -2018” ფარგლებში მწერლებს და პოეტებს:თამრი ფხაკაძეს, ცირა ბარბაქაძეს, გიორგი კაკაბაძეს, მიხო მოსულიშვილს, ბაჩო კვირტიას და მარიამ წიკლაურს უმასპინძლა. ამ პროექტის ფარგლებშივე ბიბლიოთეკას ახალი წიგნები გადმოეცა.

27 აპრილი - სურამის ბიბლიოთეკაში ჩატარდა შემაჯამებელი კონკურსი სწრაფ კითხვაში.

30 აპრილი - ხაშურის მუნიციპალიტეტის მთავარ ბიბლიოთეკაში კლუბმა “მაძიებლები” წარმოადგინეს პრეზენტაციები თემებზე:”ქართველი მოდილიანი” (პრეზენტატორები: მარიამ ქურდაძე, სოფიო და სალომე ნოზაძეები), “პრინცი მაჩაბელი” (პრეზენტატორი: ელენე გაჩეჩილაძე),“ალექსანდრე ფადეევისა და მიხეილ გელოვანის ტრაგიკული ბედი” (პრეზენტატორი: მიმი ნოზაძე).

3 მაისი - სურამის ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა II საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლეებთან ერთად, ჩაატარეს გასვლითი ღონისძიება სურამის საბავშვო ბაღში. აღსაზრდელებს წაუკითხეს ინგლისურენოვანი წიგნები და უთარგმნეს ქართულად.

3 მაისი - ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების მთავარ ბიბლიოთეკაში, ილიას სახელობის უნივერსიტეტის სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრატურის სტუდენტმა დავით ნოზაძემ ისაუბრა თემაზე „ბავშვის განვითარება და აღზრდის სტილი“.

6 მაისი •- საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში საბიბლიოთეკო კვირეული გაიხსნა. ხაშურის საბიბლიოთეკო გაერთიანებამ, მონაწილეობა მიიღო ღონისძიებაში. ხელოვანი ბიბლიოთეკარები და “წარმოაჩინე შენი ბიბლიოთეკა” ამ ეგიდით გაიხსნა წელს საბიბლიოთეკო კვირეული.

8 მაისი - საბიბლიოთეკო კვირეული 2018 - ხაშურის მთავარი ბიბლიოთეკის ილია ჭავჭავაძის სახელობის დარბაზმა უმასპინძლა ნუცა ჩიტაძისა და საბა ლაბაძის ნამუშევრების გამოფენას.

* “ახალგაზრდები და ბიბლიოთეკა” ,“ბიბლიოთეკა შენი მეორე სახლია”.

ხაშურის მთავარი ბიბლიოთეკა შემოქმედ მოსწავლეებს მასპინძლობდა..

მათ წარმოგვიდგინეს საინტერესო ჩანახატები და საყვარელი მწერლების შემოქმედება...

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ხაშურის სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა.

10 მაისი - შეხვედრა კონფლიქტის ხაზის სკოლის მოსწავლეებთან. საბავშვო ბიბლიოთეკასთან არსებული თეატრალურ-მუსიკალური წრის ბავშვები, ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან და მშობლებთან ერთად ესტუმრნენ, თავის თანატოლებს, საზღვრისპირა წაღვლის საჯარო სკოლაში წაღვლის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადაეცათ ქართული და ინგლისურენოვანი წიგნები, ხაშურის ამერიკის კუთხის ფონდიდან.

11 მაისი - საბავშვო ბიბლიოთეკასთან არსებული თეატრალური წრის ბავშვებმა კოსტიუმირებული მსვლელობა მოაწყეს ქალაქში - ზღაპრის გმირებმა ქალაქში და ორგანიზაციებში ჩვენი ბიბლიოთეკის ბუკლეტები დაარიგეს და ერთი თხოვნაც “აჩუქეთ ჩვენს ბიბლიოთეკას ერთი წიგნი!”

14 მაისი - ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების მთავარ ბიბლიოთეკაში გაიმართა საბიბლიოთეკო კვირეულის დასკვნითი ღონისძიება, რომელსაც დაინტერესებულ საზოგადოებასთან ერთად ესწრებოდნენ: ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, კულტურის სამსახურის უფროსი კულტურის სამსახურის თანამშრომლები და პირველი საჯარო სკოლის დირექტორი. საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორმა, პრეზენტაციით, „კვირეულიდან კვირეულამდე“ ანგარიში წარადგინა გაწეული სამუშაოების შესახებ.

15 მაისი - საბავშვო ბიბლიოთეკამ, საბავშვო ავტორებს: გივი ჩიღვინაძეს,მაია მიქაიას და ნათია აბულაძეს უმასპინძლა. ღონისძიებას ესწრებოდნენ ხაშურის №7 საჯარო სკოლის პედაგოგები, ამავე სკოლის I-II კლასის მოსწავლეები, მათი მშობლები და დაინტერესებული პირები. მოსწავლეებმა დამსწრე საზოგადოებას გივი ჩიღვინაძის, მაია მიქაიას და ნათია აბულაძის შემოქმედება გააცნეს, შეკითხვებიც დაუსვეს ავტორებს და ამომწურავი პასუხებიც მიიღეს.

17 მაისი - ხაშურის მუნიციპალიტეტის მთავარი ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში გაიმართა კითხვის მოყვარულთა კლუბის შეხვედრა. კლუბის ხელმძღვანელი ხათუნა ჩიტაძე

26 მაისი - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლის იუბილეს აღსანიშნავად, ქალაქში საზეიმო ღონისძიებები გაიმართა. მუნიციპალიტეტის მერიის სხვადასხვა სამსახურებს შეუერთდა ბიბლიოთეკაც. მოეწყო თემატური გამოფენა.

30 მაისი - ბიბლიოთეკის თანამშრომელი,მშვიდობის კორპუსის ამერიკელი მოხალისე სინდი ჰემფის გაცილების საღამო.

1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, მთავარი ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში ჩატარდა კითხვისმოყვარულთა კლუბი „ათინათი”-ს შეხვედრა. შეხვედრაზე, კლუბის წევრებმა, წარმოადგინეს პრეზენტაციები წაკითხული წიგნების შესახებ.

2 ივლისი - საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ინიციატივითა და საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს GPBA / საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ფინანსური მხარდაჭერით და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პარტნიორობით, - გადმოგვეცა 450 ლარის ღირებულების ვაუჩერი

5 ივლისი - ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების საბავშვო ბიბლიოთეკასთან არსებული მუსიკალურ- თეატრალური სტუდიის ბავშვები, გაცვლითი პროექტის ფარგლებში ქობულეთსა და ბათუმს სტუმრობდნენ.

კალიგრაფიისა და სწრაფი კითხვის კონკურსები ეტაპობრივად ტარდება საბავშვო და სოფლის ბიბლიოთეკაში და ასევე ინტენსიურად ხდება ყველა კლუბის შეხვედრა .

2018 წლის ბიუჯეტი შეადგენს 145.000 ლარს. 6 თვეში მიღებული დაფინანსება შეადგენს 72 500 ლ, გახარჯულია 71 365ლ. მათ შორის : ხელფასი 49 665 ლარი, სხვა საქონელი და მომსახურეობა 21 699 ლარი.

ბიუჯეტის სახსრებით, შეძენილია 181 ცალი წიგნი თანხით 1446 ლ.

საჩუქრად შემოსული წიგნი 225 ცალი, თანხით 1935 ლ. ცხრამუხის სკოლიდან გადმოცემულია 1099 წიგნი - თანხით 4433 ლარი.

დონორი ორგანიზაციიდან მიღებული გვაქვს 7 უახლესი კომპიუტერი, რომელიც მოსახლეობის კომპიუტერის უფასო კურსებს ემსახურება.

მ. დიდებულიძე, ა(ა)იპ "ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების" დირექტორი

# ხაშურს, უახლოეს მომავალში, თვალის კლინიკა შეემატება

უკვე ორი წელია, რაც ჯავრიშვილის კლინიკა „ოფთალმიჯი“ რეგიონის მოსახლეობასთან ჩადის და ადგილზე ეწევა მათ კვლევა-დიაგნოსტირებას და საჭიროების შემთხვევაში, ოპერაციების ჩატარებას. პროგრამა ძირითადად პენსიონრებისათვის და სოციალურად დაუცველებისთვის შეიქმნა, თუმცა შეზღუდვები მოსახლეობის არც სხვა კატეგორიას აქვს. ამ ეტაპზე, ჩვენი მუნიციპალიტეტის 230-მდე ბენეფიციარმა ადგილზევე გაიკეთა ოპერაცია. ბევრისთვის ეს ინფორმაცია, დღემდე არაა ცნობილი, ამიტომ, გადავწყვიტეთ, „ოფთალმიჯის“ რეგიონულ მენეჯერს, ელისო მეცხვარიშვილს გავსაუბრებოდით და დეტალურად გაგვეგო, თუ რაში მდგომარეობს მათი ორწლიანი პროგრამის მნიშვნელობა:

**- ქალბატონო ელისო, გვიამბეთ პროგრამის შესახებ...**

–ეს პროგრამა არის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, ადგილზევე მოვემსახუროთ ისეთ პაციენტებს, რომლებსაც ნაკლები წვდომა აქვთ თბილისთან, ან ასაკის ან სხვა მიზეზთა გამო, ეს შესაძლებლობა არ აქვთ. რაც შეეხება ოპერაციებს, საბედნიეროდ, ჯანდაცვის საყოველთაო პროგრამა აფინანსებს საკმაოდ ძვირადღირებულ ოპერაციებს, რომლის ღირებულებაც 980 ლარია. ამ ეტაპზე, ამ აქციის ფარგლებში, თითქმის მთელ საქართველოს მოვიცავთ.

**- რამდენად ხელმისაწვდომია მოსახლეობისთვის თქვენი მომსახურება?**

–დამერწმუნეთ, ნამდვილად დიდი კომფორტია მოსახლეობისთვის, რომ დამატებითი ძალისხმევის და ფინანსური დანახარჯის გარეშე, მათსავე მუნიციპალიტეტში, იღებენ იგივე სერვისს, რაც თბილისში გვაქვს. მინდა გითხრათ, რომ გვაქვს პაციენტების თანადაფინანსების შემთხვევებიც ხაშურის მერიის მხრიდანაც. თუმცა, ოპერციის შემთხვევაში, დასამატებელი თანხა, მათი მხრიდან, არც ისე დიდია, პენსიონრების შემთხვევაში, ესაა – 83,75 ლარი, სოციალურად დაუცველების შემთხვევაში – 17, 50 ლარი. ეს გამოდის 70% პენსიონრებზე, 100% სოციალურად დაუცველებზე. უბრალოდ, თანხის დამატება იმიტომ უწევთ, რომ ჩვენი ხელშეკრულების თანხა აღემატება არეალს. გვაქვს კლებაც, მანამდე პენსიონრები 107 ლარს იხდიდნენ, სოციალურად დაუცველები – 42 ლარს, დღეისთვის, ეს თანხა, როგორ ხედავთ, საგრძნობლად შემცირდა.

**- როგორც ვიცი, ეს თქვენი პირველი ვიზიტი არაა ჩვენს მუნიციპალიტეტში...**

–ჩვენ უკვე ორი წელია აქტიურად ვმუშაობთ ხაშურში. გვაქვს კარგი ამბავიც, ხაშურში, ვაკეთებთ კლინიკას, სადაც მოხდება პაციენტების მიღება და სრულყოფილი სამედიცნო მანიპულაციების ჩატარება

**- ხაშურის მერია რა ფორმის თანადგომას გიწევთ?**

–ჩვენი ხაშურში ჩამოსვლის პირველივე დღიდან, თანადგომა გამოგვიცხადა მუნიციპალიტეტის მერიამ. დაგვაკვალიანეს, დაგვითმეს შენობა. როცა არის შემთხვევა, რომ პაციენტს ინდივიდუალურად ჭირდება ფულადი თანადგომა, ყოფილა დაფინანსების შემთხვევებიც.

**- გარდა ოპერაციისა, სხვა რა მომსახურებას იღებს პაციენტი?**

–ოპერაციამდე ხდება პაციენტის გასინჯვა, მდგომარეობის შეფასება. დიაგნოზის დასმის შემდეგ, ინიშნება ოპერაცია. კავშირი არც ოპერაციის შემდეგ წყდება, ნაოპერაციებ პაციენტებს ვსინჯავთ და ვაკვირდებით მიმდინარე პროცესს. საჭიროების შემთხვევაში, ვუწევთ შესაბამის დახმარებას. ადგილზევე ხდება საჭირო დოკუმენტაციის მომზადება დასაფინანსებლად - ეს დამატებით კომფორტია პაციენტისთვის - მხოლოდ მოდის, ხდება მისი გასინჯვა და შემდეგ უკვე ელოდება დაფინანსების პასუხს.

**- თუ გაქვთ მონაცემები, რამდენ ადამიანს ჩაუტარდა ოპერაცია ჩვენს მუნიციპალიტეტში?**

– ორი წლის მანძილზე, დღევანდელი მონაცემებით, 208 ოპერაციაა გაკეთებული, დამატებით დღევანდელი 11 პაციენტი და რამდენიმეს ოპერაცია სამომავლოდ კიდევ დაგეგმილია. დიდი მადლობა ხაშურის მოსახლეობას ნდობისთვის. სულ მალე, მათ ახალ, კომფორტულ გარემოში მოვემსახურებით.

დამეთანხმებით, მსგავსი ტიპის აქციები და პროგრამები, რომელიც ხელმისაწვდომია მოსახლეობისთვის, მათ კეთილდღეობას და ჯანმრთელობას ემსახურება, სასურველი და მისასალმებელია.

თ. ჯავახიშვილი

# მიხეილ ხაჩიძე - კაცი, რომლისნაირებზეც სოფელი დგას

მიხელ ხაჩიძე მაღალმთიანი სოფლის ცივწყაროს მკვიდრია. ეს იმ სოფელთაგანია, სადაც კერა მხოლოდ რამდენიმე ოჯახმა არ გააცივა. დანარჩენებმა, მთიდან ბარში, უკეთესი მომავლის საძებრად გადაინაცვლეს. დიდი მეურნეობა არ აქვს, რამდენიმე მიასედზე მარწყვი მოჰყავს, სხვადასხვა კულტურებს საკუთარი საჭიროებისთვის თესავს. მიუხედავად იმისა, რომ მაღალმთიან სოფლებს, კლიმატი იშვიათად წყალობს, სტიმულს ვერც მეზობლები აძლევენ, არასდროს უფიქრია დაეტოვებინა და წასულიყო. ოჯახური მცირე ბიზნესი მოიწყო და გაფართოებაზე, ახალი კულტურების გაცნობა-მოყვანაზეც დაიწყო ფიქრი:

–სოფელ ცივწყაროში ვცხოვრობ, მაღალმთიანია. 20 წელია მარწყვი მოგვყავს, 35 მეასედზეა გაშენებული, სხვა კულტურა იმ ადგილზე არ მოვიდოდა და იმიტომ გადავწყვიტე მარწყვის დარგვა. ამ ეტაპზე ორი ჯიშის მარწყვი მაქვს, დანარჩენმა ვერ გაუძლეს კლიმატს, არც ნიადაგი აღმოჩნდა ხელსაყრელი. მორწყვის საშუალება გვაქვს, ბუნებრივი წყაროებით, ხან ბუნებაც გვწყალობს. ჩვენთან მარწყვმა უფრო გაამართლა, თითქმის ოჯახურად ვუვლით, საკუთარი ძალებით, დასაკრეფად ვიხმარ ხოლმე ორ მეზობელს. ადგილობრივ ბაზარზე, არასდროს გამიყიდია, თბილისში მიმაქვს. ყოფილა წელი, როცა მოსავალი 1 ტონამდე იყო, მაგრამ ეს იშვიათად. გარდა მარწყვისა, ვენახიც მაქვს, ხოლო სხვა დანარჩენ კულტურებს, ოჯახისთვის მოვიხმარ. სამომავლოდ, ვფიქრობ ჟოლოსი და მაყვლის გაშენებას, მშრომელი კაცი არასდროს გაჩერდება, სადაც არ უნდა იყოს. ყველამ რომ დავტოვოთ ჩვენი სახლები, სოფლები დაცარიელდება, ქვეყანას კი შენება და დოვლათის შექმნა ჭირდება.

ასე ფიქრობს და მთელ თავის ენერგიას ახმარს სოფელს, საქმეს, რომელიც უყვარს და რომლის იმედიც აქვს. ოჯახი, სოფელი და ქვეყანა, მისნაირი ადამიანების მხრებზე დგას.

- მუსიკალური სტუდია -

# „ჯადოსნური ქალაქი" გუშინ, დღეს, ხვალ...

ცოტა ხნის წინ, ჩვენს ქალაქში სტუდია "ჯადოსნური ქალაქისა" და მისი ყოფილი აღსაზრდელის თეკლა ხარაზიშვილის ერთობლივი კონცერტი გაიმართა. კონცერტი ბევრი რამით იყო გამორჩეული, საოცარი მუსიკის და ბავშვების საოცარ შესრულებასთან ერთად, ისეთი დიდი მუსიკოსები და კომპოზიტორები სტუმრობდნენ, როგორებიც ნუნუ გაბუნია, მარიკა კვალიაშვილი, გია მაჭარაშვილი და ნინო ბოუაძეა. შთაბეჭდილებებსა და შეგრძნებებზე დღესაც საუბრობენ ხაშურში. ამ ყველაფრის სულისჩამდგმელი კი ჩვენი ქალაქისთვის კარგად ცნობილი და საყვარელი მუსიკოსი **ხათუნა ღვალაძეა**. მის პროფესიონალიზმზე, ყოველთვის მისი კონცერტები და ბავშვების მომზადების მადალი დონე საუბრობს. მის მიერ შექმნილი საბავშვო სტუდია "ჯადოსნური ქალაქი", ჯერ მხოლოდ არსებობის ხუთ წელს ითვლის და უკვე უჭირავს გამორჩეული ნიშა საბავშვო სტუდიებს შორის. თუ რა გახდა მიზეზი სტუდიის შექმნის, რატომ არ შეეშინდა ჩვენს ქალაქში არსებული კონკურენციის, რითი არიან გამორჩეულები, ქალბატონი ხათუნა ისაუბრებს:

–მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ქალაქში ბევრი საბავშვო სტუდიაა, კონკურენციის არ შემშინებია, რადგან ვთვლი, რომ ეს საქმე მუსიკოსმა უნდა ააკეთოს. დავიწყე ამაზე ფიქრი, ასევე მუსიკოს და ჩემს კოლეგა ინგა ხრიკაძესთან ერთად, რაც მალევე მოვიყვანეთ სისრულეში, ოღონდ, თავდაპირველად, მუსიკალურ-თეატრალური წრის სახით ჩამოვაყალიბეთ და დავიწყეთ ბავშვების მიღებაც. არც ბავშვების შეგროვება გაგვძნელებია, რადგანაც უკვე კარგად გვიცნობდნენ, იცოდნენ ჩვენი პროფესიონალიზმი და 25 ბავშვი მაშინვე მივიღეთ. პირველად "ვერის უბნის მელოდიები" გავაკეთეთ და მოვარგეთ ბავშვებს. მცდელობამ გაამართლა, მუსიკალური სკოლის მცირე დარაზში შედგა ჩვენი ბავშვების პირველი გამოსვლა, რამაც ძალიან დიდი მოწონება დაიმსახურა. ამის შემდეგ, უკვე მივეცი სტუდიის

სახე. მუსიკალურმა სკოლამ დაგვითმო პატარა ოთახი, სადაც გვაქვს სტუდია.

**- მსურველ ბავშვებს მათი მუსიკალური შესაძლებლობის მიხედვით არჩევთ?**

–ყველა მსურველს შეუძლია მოსვლა, თუმცა, დაახლოებით ორ თვეში, ბავშვი თვითონვე ხვდება, რამდენად სწორად მოვიდა. ჩვენ სტუდიაში არიან ბავშვები, რომლებსაც კარგი მუსიკალური მონაცემები აქვთ და მეც ამის გაძლიერებაში ვეხმარები, არის მეორე კატეგორია, ვისაც თეატრალური ნიჭი აქვს-ვცდილობ, მათი შესაძლებლობების ფარგლებში განვავითარო.

**- რას სწავლობენ თქვენთან ბავშვები?**

–შესაძლებელია პირის აპარატის დამუშავება, რიტმულ-ინტონაციური ვარჯიშების გამღერება, სმენის დამუშავება ყოველდღიურად. მაქვს ასაკობრივი ჯგუფები და

ვცდილობ, ძლიერი მონაწილეები თანაბრად გადავანაწილო სამივე ჯგუფში.

**- რა ასაკიდან მიიღებიან მოსწავლეები?**

–4-დან 6 წლამდე, 6-დან 9 წლამდე და 9-დან 12-მდე-ესაა უკვე ჯგუფებად გადანაწილება, ძირითადად, ოთხი წლის ზემოთ ბავშვები მოჰყავთ. 4 წლის ბავშვებთან მაქვს ასეთი პროგრამა, რომელიც მათ წახალისებას ითვალისწინებს. როდესაც ასაკიდან გამომდინარე, არ სურთ სიმღერა, მაქსიმალურად ვცდილობ, სხვადასხვა მეთოდებით, წავახალისო. ასეთი პატარებისთვის რამდენიმე მუსიკალური ვიდეორგოლიც კი გვაქვს გადაღებული.

**- როგორ რეპერტუარს ანიჭებთ უპირატესობას?**

–რეპერტუარი საბავშვოა და მათ ასაკზეა მორგებული. ძალიან მოწონთ ბასტი-

ბუბუს რეპერტუარი, ვცდილობ, რომ ჩვენი ინტერპრეტაციით გავაკეთოთ ყველა სიმღერა. გვაქვს ჩვენი ფონოგრამები, რომელსაც ძალიან კარგი სპეციალისტი ნიკა ბოლოკაძე გვიკეთებს. ვაჟა დურგლიშვილის, გოგი ცაბაძის, კახა ცაბაძის, "მზიურის", მერაბ მერაბიშვილის, ნუნუ გაბუნიას და სხვა კომპოზიტორების საბავშვო სიმღერები გვაქვს და ვაკეთებთ თვითონ ბავშვზე, ინდივიდუალურად მორგებულ სიმღერებს და ფონოგრამას. შეიძლება ბავშვი ძალიან კარგად არ მღეროდეს, მაგრამ გახდეს კარგი მსმენელი. სტუდიაში ერთგვარი თერაპიული კურსიც გვაქვს, ბავშვს, რომელსაც არ უნდა სიმღერა, შეუძლია ხატოს და პარალელურად, ჩავრთო რომელიმე ცნობილი კლასიკოსის საბავშვო ნაწარმოები, რომელიც კარგად მოქმედებს მისი უნარების გამომუშავებაზე, რაც ძალიან კარგ შედეგს იძლევა და ეს ყველაფერი მოიტანა მუშაობამ.

**- წლევანდელი წელი რითი იყო გამორჩეული?**

–წელს იყო ძალიან ნაყოფიერი წელი ჩვენი სტუდიისთვის, თუ რამე ჩატარებულა ჩვენს ქალაქში, ყველა ღონისძიებაში მივიღეთ მონაწილეობა-ბავშვს სჭირდება სცენასთან ურთიერთობა, რის შესაძლებლობასაც ნამდვილად ვაძლევ ბავშვებს. მადლობა მინდა ვუთხრა ქალბატონ ლალის, ხშირად გაუღია ჩემთვის დიდი დარბაზის კარი და შევსულვარ. წელს 3 კონცერტი გავმართეთ ფორტეპიანოზე შესრულებით კაფე "მელბროსში", ძალიან კარგი გამოვიდა და გაამართლა კიდეც. ამ ხუთი წლის მანძილზე, მაქვს 12 მუსიკალური ვიდეო რგოლი ბავშვებისათვის, რაც არაა ცოტა.

**- თქვენ სტუდიაში სწავლა, რამდენად ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის**

–ჩვენთან სწავლა ძალიან ხელმისაწვდომია, გაკვეთილი კვირაში ორჯერაა და მოსწავლეებისთვის გათვალისწინებული გვაქვს სხვადასხვა შეღავათებიც.

**- ახალ თაობაზე რას გვეტყვით, რამდენად ნიჭიერები არიან?**

–ძალიან ნიჭიერები, გონიერები და ობიქტურები არიან. ძალიან კარგად აფასებენ საკუთარ და სხვის შესაძლებლობებს. ხშირად, არჩევანს, თვითონ ბავშვებს ვაკეთებინებ ერთმანეთის მიმართ და ჩემდა გასაოცრად, ძალიან ობიექტურები არიან. ჟესტიკულაციებს, ემოციებს და ქორეოგრაფიულ გადაწყვეტებსაც თვითონ აკეთებენ. რადგან ხედავენ, რომ მეც თანამონაწილე ვარ ყველა პროცესის, ეს უფრო დიდ სტიმულს უჩენთ.

**- როგორც ვიცი, წლევანდელი წელი კონცერტითაც იყო გამორჩეული, რომელზეც დღესაც საუბრობენ ჩვენს ქალაქში...**

წელს იყო თეკლა ხარაზიშვილის კონცერტი. ჩემი სტუდიის გაზრდილია, რამდენჯერმე წარმატებით მიიღო მონაწილეობა კლასიკურ ფესტივალ'ში "მომავლის ვარსკვლავები", ფორტეპიანოს განხრით. საკმაოდ იმედისმომცემი მოსწავლე იყო, თუმცა ამ კუთხით არ წასულა. რამდენიმე წლის შემდეგ, მოვუსმინე და გადავწყვიტეთ, გაგვეკეთებინა კონცერტი ქართული რეპერტუარით, რამდენიმე თვე ერთად ვიმუშავეთ და ჩემი მეგობრების დახმარებით მუსიკალური სამყაროდან, შევძელით მარიკა კვალიაშვილის, ნუნუ გაბუნიას, გია მაჭარაშვილის, ნინო ბოუაძის ჩამოყვანა. ეს კონცერტი „ერთსულოვნების" ტელევიზიამაც გააშუქა. კონცერტი ერთ საათს გაგრძელდა, სულ 17 ნომერს მოიცავდა, ვეცადე, არ გადამეღალა მაყურებელი და მხოლოდ სასიამოვნო განცდებით წასულიყო. რამდენიმე ნომერი, თეკლასთან ერთად, სტუდიის ბავშვებმაც შეასრულეს. გავაკეთეთ "ვერის უბნის მელოდიებიდან" ერთობლივი პოპური, რამაც ძალიან დიდი მოწონება დაიმსახურა. საღამო ინგა ხრიკაძეს მიჰყავდა, რომელმაც ძალიან დიდი დახმარება გამიწია კონცერტის ორგანიზებაში.

**- სამომავლო გეგმები თუ გაქვთ უკვე?**

–უკვე დამიკავშირდა რამდენიმე მუსიკოსი, რომლებმაც შემომთავაზეს ერთობლივი კონცერტები. მე ვფიქრობ, რომ მომავალ წელს, უკეთეს კონცერტს შევთავაზებთ საზოგადოებას. დეტალებზე საუბრისგან, ამ ეტაპზე, თავს შევიკავებ.

დამეთანხმებით, ხუთი წელი არაა ის დრო, მაქსიმალურად აჩვენო შენი შესაძლებლობები, თავი დაამახსოვრო და შეაყვარო შენს ქალაქს. "ჯადოსნურმა ქალაქმა" კი ეს ნამდვილად შეძლო და სექტემბრიდან ელოდება ახალ მსურველებს ახალ "ჯადოსნურ ქალაქში" "საცხოვრებლად".

თ. ჯავახიშვილი

# ანტიპოდები

„ერთმანეთისაკენ ფეხებით მიქცეულნი. დდამიწის დიამეტრულად საწინააღმდეგო პუნქტის მცხოვრებნი“ – ასეთია ამ სიტყვის განმარტება უცხოურ სიტყვათა ლექსიკონში. მათი არსებობის შესახებ დავა საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა. ასე იყო ანტიკურ ხანაში და ადრინდელ ქრისტიანულ ეპოქაშიც. ეს საკითხი შუა საუკუნეებში საეკლესიო დოგმის სტატუსად იქცა. ანტიპოდების მომხრეებს მწვალებლებად აცხადებდნენ და კოცონზე წვავდნენ. დავას ბოლო მოეღო XV-XVI სს დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა. მაგრამ ტერმინი დარჩა და დღეს საპირისპირო თვისებების ან შეხედულებების ადამიანებს უწოდებენ.

ასეთებს ერთი აზრი აწუხებთ - კარგი არაფერი დაინახონ დღევანდელობაში, მომავალსაც ალმაცერად უცქირონ და გამუდმებით მოახდინონ წარსულის იდეალიზაცია. ისინი საშიში ხალხია. ჭკუა არ უჭრით, მაგრამ ენა მათრახივით აქვთ. თითქოს ყველაფერი იციან: ვინ რას აკეთებს, სად რა ხდება. ისე დაბეჯითებით მოგითხრობს ახალ ამბავს, თითქოს მას გადახდენოდეს თავს. იცის, ვინ ქრთამი აიღო, თან – რისთვის და რამდენი. არაფრის გამკეთებელია, მხოლოდ ლაპარაკობს, ან იძიებს, რას აკეთებენ სხვები. მას მრავალმნიშვნელოვანი

იდუმალებით მოსილი გამომეტყველება აქვს, ისეთი, განსაკუთრებული მისიით აღჭურვილ პიროვნებას რომ შეეფერება...

მათ წერილის დასასრულს კიდევ შევეხები. ახლა იმას მოგახსენებთ, რამ დამაწერინა ეს წერილი.

უკანასკნელ წლებში, ქვიშხეთის თემის სოფლებში და თვითონ ქვიშხეთში ბევრი კარგი სასიკეთო ძვრები მოხდა ინფრასტრუქტურული განვითარების გზით, სადაც წინა პლანზე სოციალურმა შინაარსმა წამოიწია: გაუმჯობესდა სოფლების სასმელი წყლით მომარაგება. გიგიტაშვილების უბანში გაკეთდა საკმაოდ რთული ნაგებობა და 100-მდე ოჯახი 24 საათი მარაგდება წყაროს წყლით. მოგვარდა ნაგვის გატანის პრობლემა. გაიწმინდა მდინარე შოლას კალაპოტი და ბევრგან აიგო წყალმოვარდნის საწინააღმდეგო ჯებირები. ამავე მდინარეზე აიგო რამდენიმე (4) კაპიტალური ხიდი და, რაც მთავარია, ისე ხარისხიანად, რომ მოსახლეობა გახარებული იყო „რა კარგად აკეთებენო“. თუ ადრე, დამე ქუჩაში ვერ გაივლიდი, სიბნელის გამო, დღეს ყველა სოფელში ღამის განათებაა. მოსახლეობა უზრუნველყოფილია უდიდესი სიკეთით, ცისფერი გაზით.

მიმდინარეობს დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის რესტავრაცია. სულ ჩქარა გვექნება რესპუბლიკური მნიშვნელობის კულტურის კერა.

ბიზნესმენ ვალერი გელაშვილის თაოსნობით და ფინანსებით, მოხდა სუმბათაშვილების სასახლის აღდგენა. აქვე გრძელდება აბაშიძეების ციხე-სიმაგრის და გალავნის რესტავრაცია. ვფიქრობ, უახლოეს ხანში, დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმი და აბაშიძეების ციხე-სიმაგრე ტურისტთა და მნახველთა მიზიდულობის ცენტრი გახდება. აშენდა და გაიხსნა საბავშვო ბაღი...

და ბოლოსთვის შემოვინახე გზები: სოფლის შემოსასვლელიდან ბულბულისციხისკენ მიმავალ გზაზე, ღონღაძეების უბნამდე, დაახლოებით 2,5 კილომეტრზე, დაიგო ასფალტი. სოფლის ცენტრამდე შეკეთდა სანიაღვრეები და ერთ კილომეტრზე გაკეთდა ახალი. აქვე მოეწყო ფეხით მოსიარულეთა ბილიკი. ამჟამად ქვიშხეთში იმდენად ლამაზი და კეთილმოწყობილი შემოსასვლელია, რომ რესპუბლიკის ვერცერთ სოფელში ვერ ნახავთ უკეთესს. ბულბულისციხის გზის გაყოლებით, თითოეული ოჯახის შესასვლელამდეც მოასფალტდა გზა.

ეს ყველაფერი უკანასკნელ წლებში მოხდა. რაც არ გაკეთებულა ათეულობით წლების განმავლობაში, 5-6 წელიწადში განხორციელდა. ფაქტი სახეზეა. ინგლისელები ამბობენ, ფაქტი ჯიუტიაო, მაგრამ ანტიპოდს ეს ფაქტები გინდა ცხვირწინ აუფრიალე, გნებავთ, ძალით ჩატენეთ ტვინში, მაინც არაფერი გამოვა. აბა მოუსმინეთ! „ერთი მეტრიც რომ მოემატებინათ სიგანეში, კარგი იქნებოდა“, „მერე ჯიბეში რაღა ჩაედოთ?“, „აფსუს, რა ფული გაკეთდა!“, „გეგმით ბულბულისციხემდე და შოლის ხიდამდე უნდა დაეგოთ და არ გააკეთეს“, „აფსუს, კომუნისტები?“, „ნახონ ერთი, ბორჯომში რა გზებია?“ (არ იციან ბორჯომის ბიუჯეტი 20 მილიონამდე რომ არის, ხაშურისა 12 მილიონი, თანაც ხაშურის მუნიციპალიტეტი ორჯერ დიდია ბორჯომისაზე).

არ იფიქროთ, ეს ადამიანები ბევრი იყვნენ. ცოტანი არიან, მაგრამ საშიშნი იმით, რომ ირგვლივ ყველას და ყველაფერს წამლავენ, ცუდ ხასიათზე გაყენებენ. ცოტანი, მაგრამ ყველგან არიან: ოჯახში, სოფელში, ქალაქში, ქვეყანაში, პარლამენტში თუ ხელისუფლებაში.

ისინი ეგოცენტრიკოსები არიან. ბედნიერება მათთვის მხოლოდ ერთ ასპექტშია: კარგი, კარგად გაკეთებულის, გონივრული აზრის გაკილვა და განქიქება. მათ საქციელში, მხოლოდ შურის, ბოღმის და სიავის თესლი ურევია. მეგობარი არ ჰყავთ, იეზუიტებს ჰგავნან. მთელი დღე დატუსტუსებენ, სადაც ორ, ან მეტ კაცს დაინახავენ, იქ ამოყოფენ თავს, ხარბად ისრუტავენ გაგონილს და მერე უკუღმა ავრცელებენ. არაჭეშმარიტი, არასრულფასოვანი და ამდენად უდღეური უპერსპექტივო ხალხია.

მათ ნათქვამს ჯერ კიდევ ძალა აქვს, მაგრამ სამართლებრივი, დემოკრატიული, მოქალაქეთა საზოგადოების ჩამოყალიბების, შექმნის შემდეგ მათ აღარავინ მოუსმენს. მანამდე კი ერთი გონიერი ადამიანის ნათქვამით ვინუგეშოთ თავი: „ძაღლი ჰყეფს, ქარავანი მიდის“.

**კლიმენტი სუთიაშვილი**

## - ახალი ლექსები -

### ია ჩემს ეზოში მღერის

სულ მალე, დღის სინათლეს იხილავს ლექსების ახალი კრებული, რომლის ავტორი ნატალია კიკაძეა. ქალბატონი ნატალია ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრია და მიუხედავად იმისა, რომ მის ცხოვრებაში პოლიტიკას დიდი ადგილი უჭირავს, კანონმდებლობითი საქმიანობის გარდა, შემოქმედებისთვისაც იცლის და მშვენიერი ლექსებითაც ამდიდრებს ქართულ პოეზიას. დღეს ჩვენს მკითხველს მის ორ ლექსს ვთავაზობთ დასაბეჭდად გამზადებული კრებულიდან.

### ეჰ, გულო, ჩემო...

ჩამოვეკიდე სულს ბოლო ყუნწზე
და საკინძეზე შემახმა სისხლი,
კვალი ლაქებად ატყვია მიწას,
როგორც თეთრ სარკმელს ყინულის ჭირხლი.
ქვემოთ მეძებდა ადამის მიწა,
იესოს ზეცა მელოდა ზემო,
სად ვიყავ, სად ვარ?..
არ ვიცი, ვფიცავ,
გკითხო? - რას მეტყვი,
ეჰ, გულო, ჩემო!..
სამყაროს შორის ეს სუსტი ძაფი,
ვატყობ, იქცევა ალბათ ისრებად,
ვგრძნობ მწუხრის ჟამებს, ახლოს არიან
და სულიც, ალბათ, გადანისლდება.
მხოლოდ განთიადს მოაქვს ნიავი,
ელექსირად რომ მიწას ედება,
სული კი უცდის, როდის იქცევა,
ცა - ოაზისად და ლურჯ ედემად.

### გაზაფხულის სიმღერა

აი, მიილია ზამთარი,
აი, მიიკურწა თოვა,
აი, კერიების ზღაპარი –
ჩქარა გაზაფხულიც მოვა...
იამ დაამთავრა ძილი,
მოვა ენძელების წყება,
მზე გამობრწყინდება თბილი,
წავა ყინვიანი წყენა.
სხივი მოემატა დღეებს,
მურამ აუწია სოლოს,
ხიბლი მოსდებიათ ტყეებს
ძალა აღარა აქვს ლოლოს.
ბგერა დაიწმინდა შაშვმა,
უკვე ხმები ისმის ღელის...
ია მომაწოდა ბავშვმა,
ია ჩემს ეზოში მღერის.



# სურამი, ბიჯნისი, ტაბაკლდე

- კალათბურთი -

## ხაშურის კალათბურთელთა გუნდი (ქალები) საქართველოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორია

ამ დღეებში, დასრულდა საქართველოს ქალთა საკალათბურთო უმაღლესი ლიგის ჩემპიონატი, სადაც ხაშურის სასპორტო სკოლის გუნდმა შესანიშნავად იასპარეზა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. უკანასკნელ წლებში, ხაშურში, კალათბურთის აღორძინება მთლიანად ორ შესანიშნავ სპეციალისტს ირაკლი ბითაძეს და ავთანდილ ხვედელიძეს უკავშირდება. სწორედ მათი მუხლჩაუხრელი მუშაობის შედეგია, რომ ჩვენი კალათბურთელები უკვე სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრების წევრები არიან და წარმატებებსაც აღწევენ. და აი, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამარჯვება – საქართველოს ჩემპიონატში მესამე ადგილი ნამდვილად დიდი მიღწევაა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ საშინაო შეხვედრებს, ჩვენი გუნდი, სათანადო დარბაზის უქონლობის გამო, გორში ატარებდა, ეს მიღწევა უფრო დასაფასებელი ხდება. ჩვენი გუნდი, ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, პლეი-ოფში გავიდა და საჩემპიონო დაძაბული ბრძოლა თბილისის „დინამოსთან“ დათმო. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში კი შანსი არ დაუტოვა ქუთაისის გუნდს და 48 : 35 მოუგო. ვულოცავთ მთელ გუნდს, მათ მწვრთნელებს, გულშემატკივრებს ამ გამარჯვებას. სექტემბრიდან, როგორც ცნობილია, ხაშურის სასპორტო სკოლის ახალი შენობა დაიწყებს ფუნქციონირებას, სადაც ყველა პირობა იქნება შექმნილი და დარბაზიც ყველანაირ სტანდარტს დააკმაყოფილოებს. იმედია, ეს ფაქტი უფრო ხელშესახებს

გახდის ხაშურის ქალთა კალათბურთის წინსვლას.

კიდევ ერთხელ ვულოცავთ გუნდის წევრებს ამ წარმატებას!

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) ირაკლი ბითაძე, ნანა ნოზაძე, მარიამ კოპაძე, ლიზი ბლიაძე, ანი კირკიტაძე, ვანო ხარაზიშვილი (გუნდის მენეჯერი), მარიამ პაშჩენკო, ნინო ტალახაძე, ნინო კოპაძე, ავთანდილ ხვედელიძე; სხედან (მარცხნიდან): ნათია ბეროზაშვილი, ქეთი გრიგალაშვილი, მანანა ახმეტელი, ლიკა ტაბატაძე, ანი სტეფნაძე, გიორგი გელაშVილი (ფიზმომზადების მწვრთნელი).



### ვულოცავთ!

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხაშურის რაიონული ორგანიზაცია, თავმჯდომარე ინეზა ელისაშვილი დაბადების დღეს - 90 წლის იუბილეს ულოცავს მე-4 საჯარო სკოლის ყოფილ, ღვაწლმოსილ, დამსახურებულ პედაგოგს, საუკეთესო ოჯახისა და შვილების მამას ბატონ **პავლე ტაბატაძეს**, უსურვებს ჯანმრთელობას და მონაგარის კარგად ყოფნას.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხაშურის რაიონული ორგანიზაცია, თავმჯდომარე ინეზა ელისაშვილი სამძიმარს უცხადებს ქალბატონ ნაირა დვალიშვილს, ნატო ლობჟანიძეს და ნატო დვალიშვილს შვილის, მეუღლის და ძმის

დავით დვალიშვილის

გარდაცვალების გამო.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.